ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2210253

ნომერი: AR1340330

თარიღი : 08.09.2015

გაცემის თარიღი : 25.09.2015

გაცნობის თარიღი : 25.09.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , თემქის დასახლება, III მ/რ, II კვარტალი/ ქალაქი თბილისი , თემქის დასახლება, III მიკრო რ/ნი, II კვარტალი, (ნაკვეთი 7/11)-ის მიმდ./ ქალაქი თბილისი , თემქა III მ/რ II კვ. 142-ე სკოლის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ირაკლი ასკურავა პ/ნ 01031006213
- თბილისი სანზონა კორ. 1 ბ. 7

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს. ასდო კოდი: 400108307

ნომენკლატურა :
- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 19 აგვისტოს N2147098 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2015 წლის 8 სექტემბერს AR1340330 განაცხადით მომართა ირაკლი ასკურავამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2015 წლის 19 აგვისტოს N2147098 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 2015 წლის 19 აგვისტოს N2147098 ბრძანებით ქ.თბილისში, თემქის დასახლება, III მ/რ, II კვარტალი, ქ. თბილისში, თემქის დასახლება, III მ/რ, II კვარტალი (ნაკვეთი 7/11)–ის მიმდ, ქ. თბილისში, თემქის დასახლება, III მ/რ, II კვ. 142–ე სკოლის მიმდებარედ, (საკადასტრო კოდი N01.12.02.007.045), შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 19 აგვისტოდან 2018 წლის 19 თებერვლის ჩათვლით. დამკვეთად დაფიქსირდა შპს ,,ასდო“.
განმცხადებლის განმარტებით, არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისას, საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა მითითებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, რაც შესაბამისად აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში. აღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე განაცხადით მოთხოვნილია ცვლილების შეტანა სამსახურის 2015 წლის 19 აგვისტოს N2147098 ბრძანებაში, რომლის თანახმადაც ცვლილების განხორციელების შემდეგ დაფიქსირდება შემდეგი მონაცემები: საერთო ფართობი - 3006.9 კვ.მ. - მათ შორის: საცხოვრებელი ფართობი - 1634.2 კვ.მ.; დამხმარე ფართობი - 25.4 კვ.მ.; კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობი - 388.9 კვ.მ.; კომერციული - 101.2 კვ.მ.
სამსახურმა AR1340330 განაცხადზე თანდართული დოკუმენტაცია შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტს და დაადგინა, რომ წარმოდგენილი ტენიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შესაბამისობაშია შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან. შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე და 96-ე მუხლების შესაბამისად,
ვბრძანებ:
1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 19 აგვისტოს N2147098 ბრძანებაში და ტექნიკურ – ეკონომიკურ მაჩვენებლებში საერთო, საცხოვრებელი, კომერციული, დამხმარე, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობების მაჩვენებლები დაფიქსირდეს შემდეგი სახით:
საერთო ფართობი: 3006.9 კვ.მ.
საცხოვრებელი ფართობი: 1634.2 კვ.მ.
კომერციული ფართობი: 101.2 კვ.მ.
დამხმარე ფართობი: 25.4 კვ.მ.
კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი: 388.9 კვ.მ.;
2. სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 19 აგვისტოს N2147098 ბრძანება სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელი;
3. სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 19 აგვისტოს N2147098 ბრძანებას დაერთოს AR1340330 განაცხადზე ატვირთული გეგმები;
4.წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 19 აგვისტოს N2147098 ბრძანებასთან ერთად;
5.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, N6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.